წერილის ნომერი: **73-0124059637**
თარიღი: **28/02/2024**

ადრესატი: გიგა ბერუაშვილი
მისამართი: თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N 24 ბ. 10

ბატონო გიგა,

2024 წლის 15 თებერვლის 2023 წელს ბრიტანულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „Mayhew International"-მა ქალაქ თბილისის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, დედაქალაქში მიუსაფარი ძაღლების კვლევა ჩაატარა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ორგანიზაციამ მსოფლიოში აპრობირებული, სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით მიუსაფარი ცხოველების რაოდენობა დაითვალა. ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, კვლევის ცდომილების გათვალისწინებით, დედაქალაქში ქუჩის ბინადარი ცხოველების რაოდენობა 30 150-ს შეადგენს.
ამავე კვლევის მიხედვით, შეიქმნა დედაქალაქის ელექტრონული რუკა, რომელზეც განსაზღვრულია არასტერილური ცხოველების მდებარეობის ცხელი წერტილები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიქმნება სამოქმედო გეგმა და სააგენტო, ,,მეიჰიუ საქართველოსთან" ერთად, დაიწყებს სტერილიზაციის დამატებით პროგრამას. პროგრამის ფარგლებში, ცხელი წერტილებიდან სააგენტოს ეკიპაჟების მიერ გადაყვანილი ცხოველები, როგორც მუნიციპალურ თავშესაფარში, ასევე ,,მეიჰიუ საქართველოს" კლინიკაში გასტერილდებიან.

გიორგი კობიაშვილი

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი